IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

"დეოლიგარქიზაციის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი: ვენეციის კომისიის საბოლოო რეკომენდაცია და მისი აღსრულების პერსპექტივები

2023 წელი

შინაარსი

მოკლე მიმოხილვა 3

ძირითადი მიგნებები/დასკვნები 5

1. „დეოლიგარქიზაციის“ კანონის პროექტი საქართველოში და ვენეციის კომისიის პირველი (შუალედური) დასკვნა 7

1.1. „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონის პროექტი საქართველოში: ძირითადი მოვლენები..... 7

1.2. ვენეციის კომისიის პირველი დასკვნის ძირითადი მიგნებები. 7

1.3. საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებული ცვლილებები პირველი დასკვნის შემდგომ; 8

2. სამართლებრივი სტანდარტები, რომლითაც ვენეციის კომისიამ დეოლიგარქიზაციის კანონის საბოლოო ვერსია შეაფასა..... 8

2.1. ვენეციის კომისია უპირატესობას ანიჭებს დეოლიგარქიზაციის გადაწყვეტის სისტემურ მიდგომას, თუმცა არ გამორიცხავს პერსონიფიცირებული მიდგომების გამოყენებას 8

2.2. ვენეციის კომისია პარადოქსად მიიჩნევს, „დეოლიგარქიზაციის“ კანონის აღსრულებას იმ ინსტიტუტების მიერ, რომლებიც ოლიგარქ(ებ)ის გავლენას ექვემდებარებიან 9

3. ვენეციის კომისიის მიერ დადგენილი სტანდარტების გამოყენება საქართველოსთან მიმართებით. 10

3.1. “სისტემური” მიდგომა საქართველოში 10

3.2. ვენეციის კომისიის მოსაზრებით, მისი პირველი დასკვნის შემდგომ საქართველოს არაფერი გაუკეთებია მასში იდენტიფიცირებული მთავარი ნაკლის გამოსასწორებლად. 11

4. ვენეციის კომისიის შეფასება უკრაინისა და მოლდოვას კანონებზე 13

5. დასკვნა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციები საქართველოს. 14

6. სამოქალაქო საზოგადოების ხედვა „დეოლიგარქიზაციასთან“ დაკავშირებით და კანონპროექტის შემუშავების პროცესში ჩართულობა..... 16

7. ვენეციის კომისიის დასკვნის აღსრულების პერსპექტივა..... 17

მოკლე მიმოხილვა

ევროკავშირი საქართველოს დემოკრატიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ გამოწვევად მიიჩნევს „ოლიგარქიზაციას“. სახელდობრ, ოლიგარქ(ებ)ის გადაჭარბებულ პოლიტიკურ გავლენას ქვეყნის დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და პოლიტიკურ პროცესებზე. აღნიშნულის ნათელი გამოვლინებაა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად საჭირო პირობად - „დეოლიგარქიზაციის“ განსაზღვრა.

აღნიშნული პრიორიტეტი იმთავითვე გახდა მწვავე პოლიტიკური დებატების საგანი როგორც საქართველოს პარლამენტში, ისე მის მიღმა. საბოლოოდ, მმართველმა პარტიამ „დეოლიგარქიზაციის“ პრობლემის გადასაწყვეტად აირჩია უკრაინული მოდელი და „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონის მიღება. თუმცა, უკრაინული გამოცდილების გაზიარებისას სრულად იქნა უგულებელყოფილი „ოლიგარქიული“ გავლენების პრობლემის თავისებურებები საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტს ადასტურებდა კანონპროექტის ინიციატორი - მმართველის პოლიტიკური ძალა და მისი წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ მათ თარგმნეს უკრაინული კანონი. ამდენად თუ ამ კანონის მოქმედებების პირობებში უკრაინამ შეძლო კანდიდატის სტატუსის მოპოვება ე.ი. საქართველოსაც შესრულებულად ჩაეთვლებოდა „დეოლიგარქიზაციის“ პრიორიტეტი.

ჩვენი ხედვით, მმართველი პარტიის ეს არგუმენტი მანიპულაციურია და სინამდვილეს არ შეესაბამება. სხვა ქვეყნის გამოცდილების გაზიარებამდე, სახელწმიფომ ჯერ უნდა შეაფასოს თავისი კონტექსტი, კერძოდ, პრობლემის სიმწვავე და მასშტაბები. განსაკუთრებით, ისეთ სენტისიტიურ და მგრძნობიარე სფეროში, როგორიც არის ჭარბი ფინანსური რესურსების გავლენა პოლიტიკის ფორმირებაზე განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებში. ამის შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა შეაფასოს რამდენად დგას „დეოლიგარქიზაციის“ კანონის მიღების საჭიროება, ხოლო თუ დგას, რა ტიპის შეზღუდვები უნდა იქნეს გათვალისწინებული კანონით, ვინ უნდა აღასრულოს იგი და ა.შ. საქართველოს ეს არ გაუკეთებია, მეტიც მმართველი პარტია უგულებელყოფდა არა მხოლოდ ოლიგარქ(ებ)ის გავლენას პარტიაზე და სახელმწიფო ინსტიტუტებზე, არამედ კონტექსტის გათვალისწინების იდეასაც კი.

ვენეციის კომისიის შემაჯამებელი დასკვნა „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონის პროექტზე სწორედ საქართველოსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური გამოწვევების გაუთვალისწინებლობაზე ამახვილებს ყურადღებას. ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ „დეოლიგარქიზაციის“ კანონი არ არის უნივერსალური ინსტრუმენტი, რომელიც ყველა სახელმწიფოს ერთნაირად ერგება. ზოგადად, ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ უპირველესად, სახელმწიფო ოლიგარქთა გავლენას უნდა ებრძოლოს არსებული დემოკრატიული მექანიზმების გამოყენებით. სახელმწიფომ, მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება მიმართოს „დეოლიგარქიზაციის“ კანონს და “პერსონალურ“ მიდგომას.

ირიბად, ვენეციის კომისია პარადოქსულს უწოდებს საქართველოს მიერ შემუშავებულ „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონის პროექტს, ვინაიდან ამ კანონის (მიუკერძოებლად) აღსრულება მოეთხოვებათ ინსტიტუტებს, რომლებშიც, როგორც ჩანს (“it seems”), ოლიგარქიულ გავლენებს აქვს ფესვები გადგმული.

ვენეციის კომისიის რეკომენდაციაა, საქართველომ უარი თქვას დეოლიგარქიზციის კანონის შემუშავებულ ვერსიაზე და გაატაროს სიღრმისეული, ყოვლისმომცველი და შეუქცევადი/ინტენსიური (relentless) რეფორმები სასამართლო ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების სისტემის, ასევე დემოკრატიული ინსტიტუტების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და შესაბამისი საკანონმდებლო მექანიზმების გასაძლიერებლად. დასკვნიდან გამომდინარე, საქართველო შეიძლება დაუბრუნდეს „დეოლიგარქიზაციის“ კანონის შემუშავებას, იმ პირობებში, როდესაც უზრუნველყოფილი იქნება ინსტიტუტების დამოუკიდებლობა და კანონი შესაბამისი იქნება იმ დროისთვის არსებულ სპეციფიკურ გამოწვევებთან, რომელთა გადაწყვეტა „სისტემური“ მიდგომის გამოყენებით ვერ მოხერხდება.

ვენეციის კომისიის კრიტიკული დასკვნის მიუხედავად საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენით დაუჭირა მხარი “დეოლიგარქიზაციის შესახებ” კანონს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მმართველი პარტიის არგუმენტი ვენეციის კომისიის დასკვნისა და ევროკავშირის მოთხოვნების ურთიერთწინააღმდეგობის თაობაზე სიმართლისგან შორს დგას. ამდენად, საქართველოს მიერ ვენეციის კომისიის დასკვნის გაუთვალისწინებლობას და კანონის არსებული ფორმით მიღებას ნეგატიური გავლენა ექნება სახელმწიფოს ევროპული ინტეგრაციის პროცესზე.

ძირითადი მიგნებები/დასკვნები

- ვენეციის კომისიამ 2023 წლის 12 ივნისს გამოაქვეყნა საბოლო დასკვნა „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით. ასევე გამოქვეყნდა კომისიის დასკვნები ოლიგარქიულ გავლენებთან ბრძოლის უკრაინისა და მოლდოვას მიდგომებთან დაკავშირებით.
- ვენეციის კომისიამ მოიწონა მოლდოვას გადაწყვეტილება, უარი ეთქვა სპეციფიკური კანონის მიღების გზით ოლიგარქიულ გავლენებთან ბრძოლაზე. ხოლო უკრაინასა და საქართველოსთან მიმართებით გასცა “დეოლიგარქიზაციის” კანონმდებლობის გაუქმების/არმიღების რეკომენდაცია.
- ვენეციის კომისიის მოსაზრებით, მისი პირველი დასკვნის შემდგომ საქართველოს არ გამოუსწორებია კანონპროექტის მთავარი ნაკლი.
- ვენეციის კომისიის მოსაზრებით, სამივე სახელმწიფომ დეოლიგარქიზაციის პრობლემა უნდა გადაწყვეტოს სისტემური მიდგომის/რეფორმების საშუალებით.
- ვენეციის კომისიის მოსაზრებით, „ოლიგარქიზაციის“ პრობლემის კომპლექსურობიდან გამომდინარე, აუცილებელია თითოეულმა სახელმწიფომ თავისი ისტორიული, სამართლებრივი და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით თავად აირჩიოს პრობლემასთან ბრძოლის სათანადო მიდგომა და სხვა ქვეყნის კანონმდებლობის გადმოწერა არ არის პრობლემასთან გამკლავების გზა.
- ვენეციის კომისიის მოსაზრებით, საქართველოს მიერ შემუშავებული „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონის პროექტი პარადოქსულია, ვინაიდან ამ კანონის [მიუკერძოებლად] აღსრულება მოეთხოვებათ ინსტიტუტებს, რომლებშიც, როგორც ჩანს (“it seems”), ოლიგარქიულ გავლენებს აქვს ფესვები გადგმული.
- ვენეციის კომისიის მოსაზრებით, სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ სისტემური მულტისექტორული მიდგომა ოლიგარქიული გავლენების გამოწვევის გადასაწყვეტად. ამ თვალსაზრისით, ვენეციის კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მართლმსაჯულების სექტორისა და დემოკრატიული ინსტიტუტების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით გასატარებელ რეფორმებზე. ანტიკორუფციული, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და სახელმწიფო ორგანოთა ანგარიშვალდებულების გაძლიერებაზე.
- კომისიის მოსაზრებით, საქართველოს ხელისუფლების მიერ ამ ფორმით შემოთავაზებული კანონი არა მხოლოდ არაეფექტურია ოლიგარქ(ებ)ის გავლენების შემცირების გზაზე, არამედ საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ სისტემას, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებს.

- ვენეციის კომისიის რეკომენდაციაა, საქართველომ უარი თქვას “დეოლიგარქიზაციის” კანონის შემუშავებულ ვერსიაზე და გაატაროს სიღრმისეული, ყოვლისმომცველი და შეუქცევადი/ინტენსიური (relentless) რეფორმები.
- ვენეციის კომისიის ამ დასკვნით მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმირების საჭიროება მათი რეალური დამოუკიდებლობის, ეფექტურობის, კოორდინაციისა და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით.
- ვენეციის კომისიის დასკვნის მიუხედავად მმართველმა პარტიამ მეორე მოსმენით დაუჭირა მხარი “დეოლიგარქიზაციის შესახებ” კონონის პროექტს. მმართველი პარტიის არგუმენტი ვენეციის კომისიის დასკვნისა და ევროკავშირის მოთხოვნების ურთიერთწინააღმდეგობის თაობაზე არ შეესაბამება სინამდვილეს.

1. „დეოლიგარქიზაციის“ კანონის პროექტი საქართველოში და ვენეციის კომისიის პირველი (შუალედური) დასკვნა

1.1. „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონის პროექტი საქართველოში: ძირითადი მოვლენები.

“დეოლიგარქიზაციის შესახებ” კანონის პროექტი მიღებული იქნა ევროკომისიის 2022 წლის 17 ივნისის დასკვნით[1] განსაზღვრული მე-5 პრიორიტეტული ამოცანის (“დეოლიგარქიზაციის“ ვალდებულების შესრულება, რაც უნდა მიღწეული იქნას ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კერძო ინტერესების გადაჭარბებული გავლენის აღმოფხვრის საშუალებით) შესრულების მიზნით. „დეოლიგარქიზაციის“ მიზნის მისაღწევად საქართველომ უკრაინული მოდელი აირჩია. უფრო კონკრეტულად, ხელისუფლებამ ფაქტობრივად გადმოთარგმნა უკრაინული კანონი, იმგვარად რომ არც უმსჯელია რა ფორმით ვლინდება „ოლიგარქიული“ გავლენების პრობლემა საქართველოში და რამდენად პასუხობს უკრაინული კანონი საქართველოს საჭიროებებს.

2023 წლის 13 მარტს ვენეციის კომისიის მიერ გამოქვეყნებული შუალედური დასკვნის[2] საფუძველზე კანონპროექტი დაბრუნდა მეორე მოსმენის ეტაპზე და განხორციელებული იქნა გარკვეული სახის ცვლილებები, რისი შეფასების მიზნითაც კანონპროექტი 2023 წლის 13 აპრილს კიდევ ერთხელ გადაეგზავნა ვენეციის კომისიას. 2023 წლის 12 ივნისს კომისიამ გამოაქვეყნა უკვე საბოლოო დასკვნა[3] კანონპროექტთან[4] დაკავშირებით.

1.2. ვენეციის კომისიის პირველი დასკვნის ძირითადი მიგნებები.

ვენეციის კომისიამ თავის შუალედურ დასკვნაში გამოყო ორი მიდგომა, „სისტემური“ და „პერსონალური“. თუკი „პერსონალური“ მიდგომა მიმართულია კონკრეტული პირების იდენტიფიცირებაზე და მათ მიმართ შემზღუდავი ღონისძიებების გატარებაზე, „სისტემური“ მიდგომა გულისხმობს სხვადასხვა სფეროებში (როგორიცაა მედიის, ანტი-მონოპოლიური, პოლიტიკური პარტიების, არჩევნების, საგადასახადო, ანტი-კორუფციული და ა.შ) სამართლებრივი ინსტრუმენტების დანერგვასა და გაძლიერებას, აგრეთვე ამ სფეროებს შორის ეფექტურ კოორდინაციას. კომისიამ მკაფიოდ გამოხატა მხარდაჭერა „სისტემური“ მიდგომის მიმართ და საქართველოს ხელისუფლებას

[1] Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, Brussels 17 june 2022, COM(2022) 405 final,

[2] Venice Commission Interim Opinion on The Draft Law “On De-oligarchisation”, Strasbourg, 13 March 2023, CDLAD(2023)009

[3] Venice Commission final Opinion on The Draft Law “On De-oligarchisation”, Strasbourg, 12 June 2023, CDL-AD(2023)017

[4] “დეოლიგარქიზაციის შესახებ” საქართველოს კანონის პროექტი

მოუწოდა გაეტარებინა სისტემური რეფორმები სხვადასხვა სფეროში. კომისიის მოსაზრებით, ნებისმიერი სპეციფიკური კანონმდებლობა ოლიგარქიის შესახებ შეიძლება მიღებული იქნეს მხოლოდ ამ რეფორმების ფართო, სისტემურ კონტექსტში.

რაც შეეხება "დეოლიგარქიზაციის შესახებ" ქართული კანონის მიერ არჩეულ გზას, იგი ეფუძნება „პერსონალურ მიდგომას", რომელიც განსაკუთრებულ ინსტიტუციურ და უფლებრივ გარანტიებს საჭიროებს. ვენეციის კომისიის მოსაზრებით, კანონი შეიცავს არათანასწორი აღსრულების რისკებს და პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ გამოყენების ინსტრუმენტალიზაციის შესაძლებლობას. კომისიის პოზიციით, პირის „ოლიგარქად" ცნობა, თავისი თანმდევი შედეგების გათვალისწინებით, არ შეიძლებოდა პოლიტიკური უმრავლესობის ნებაზე იყოს დამოკიდებული.

1.3. საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებული ცვლილებები პირველი დასკვნის შემდგომ;

ვენეციის კომისიის შუალედური დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ კანონპროექტი მეორე მოსმენის ეტაპზე დაბრუნდა. განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, პირის ოლიგარქად ცნობის კომპეტენციის მქონე ორგანოდ, ნაცვლად მთავრობისა, განისაზღვრა ანტიკორუფციული ბიურო. დაზუსტდა ოლიგარქად ცნობის კრიტერიუმები და ამ მიზნით დაზუსტდა პირის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე მნიშვნელოვანი გავლენასთან დაკავშირებული კრიტერიუმები, ასევე გაუქმდა „უმწიკვლო საქმიანი რეპუტაციის" ბუნდოვანი ჩანაწერი.

ამოღებულ იქნა გარკვეული შეზღუდვები, რაც ეხებოდა პარტიების, საარჩევნო ან სხვა კამპანიების და დემონსტრაციების დაფინანსების აკრძალვას, ხოლო საპროცესო გარანტიების მხრივ უფრო დეტალურად გაიწერა ანტიკორუფციული ბიუროს მიერ საკითხის განხილვის პროცედურა და გასაჩივრების წესები.

2. სამართლებრივი სტანდარტები, რომლითაც ვენეციის კომისიამ დეოლიგარქიზაციის კანონის საბოლოო ვერსია შეაფასა

2.1. ვენეციის კომისია უპირატესობას ანიჭებს დეოლიგარქიზაციის გადაწყვეტის სისტემურ მიდგომას, თუმცა არ გამორიცხავს პერსონიფიცირებული მიდგომების გამოყენებას

თავის საბოლოო დასკვნაში ვენეციის კომისია კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ „ოლიგარქიულ" გავლენებთან ბრძოლის "სისტემურ" და "პერსონალურ" მიდგომას შორის უპირატესობას "სისტემურს" ანიჭებს, რაც გულისხმობს მართლმსაჯულების და

სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების დამოუკიდებლობას, აგრეთვე, მედიის, ანტი-მონოპოლიურ, პოლიტიკური პარტიების, არჩევნების, საგადასახადო, ანტი-კორუფციულ და სხვა სფეროებში სამართლებრივი ინსტრუმენტების დანერგვასა და გაძლიერებას და მათ შორის ეფექტურ კოორდინაციას.[5]

"პერსონალური" მიდგომა, რასაც "დეოლიგარქიზაციის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი ეფუძნება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მას შემდეგ რაც "სისტემური" მიდგომა არ იქნება ეფექტური. სხვაგვარად, "პერსონალური" მიდგომა უნდა იყოს, მიზნის *ultima ratio* (უკიდურესი) საშუალება და შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკიდურესად კრიტიკულ სიტუაციებში,[6] მაგალითად, როდესაც საფრთხე ექმნება სახელმწიფო სუვერენიტეტს, რა დროსაც ამგვარი მიდგომა შეიძლება გამართლებულ იქნეს მყისიერი და დროული, უკიდურესად აუცილებელი გადაწყვეტილების მიღების საჭიროებით. თუმცა, ამავდროულად, კომისია ხაზს, უსვამს, რომ ამგვარ შემთხვევებშიც კი, "პერსონალური" მიდგომის გამოყენება არის დროებითი და საგამონაკლისო გზა, და არა, „სისტემური" მიდგომის ალტერნატივა.

2.2. ვენეციის კომისია პარადოქსად მიიჩნევს, „დეოლიგარქიზაციის" კანონის აღსრულებას იმ ინსტიტუტების მიერ, რომლებიც ოლიგარქ(ებ)ის გავლენას ექვემდებარებიან

"პერსონალური" მიდგომის ეფექტურობისთვის აუცილებელია, რომ გადაწყვეტილების მიმღები ნებისმიერი რგოლი, იქნება ეს ანტიკორუფციული ბიურო, თუ სასამართლო, უზრუნველყოფილი იყოს დამოუკიდებლობის ძლიერი გარანტიებით. სხვაგვარად, ოლიგარქთა გავლენის შემცირების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად ოლიგარქიულ გავლენას დაქვემდებარებული ინსტიტუტების გამოყენება პარადოქსულ სურათს ქმნის.[7]

სხვაგვარად, ამ ფორმით წარმოდგენილი კანონი პარადოქსულია, რადგანაც: თუკი სახელმწიფო ინსტიტუტები სათანადოდ ძლიერი და დამოუკიდებელია „პერსონალური" ზომების ეფექტური და თანასწორი აღსრულებისთვის, მაშინ ამ ზომების საჭიროება აღარც იქნება, რადგან უფრო ეფექტური „სისტემური" მიდგომის წინაპირობები გვაქვს სახეზე. საპირისპიროდ კი, თუ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები "დატყვევებული"

[5] Venice Commission Interim Opinion on The Draft Law "On De-oligarchisation", Strasbourg, 13 March 2023, CDLAD(2023)009, პარ. 13

[6] Venice Commission final Opinion on The Draft Law "On De-oligarchisation", Strasbourg, 12 June 2023, CDL-AD(2023)017, პარ. 21

[7] იქვე, პარ. 22

არიან იმ ინტერესით, რომლის წინააღმდეგაც აპირებენ ბრძოლას, საკითხის ამგვარი მოწესრიგება უშედეგო იქნება.[8]

3. ვენეციის კომისიის მიერ დადგენილი სტანდარტების გამოყენება საქართველოსთან მიმართებით.

აღნიშნული სტანდარტების გათვალისწინებით ვენეციის კომისიამ მმართველი უმრავლესობის მიერ ამ ფორმით შემუშავებული კანონი არ მიიჩნია დემოკრატიულ და ეფექტურ პასუხად "დეოლიგარქიზაციის" პრობლემის გადასაჭრელად. კანონი არა მხოლოდ არაეფექტურია საქართველოში არსებული კონტექსტის გათვალისწინებით (ინსტიტუტების დამოუკიდებლობისა ნაკლებობა), არამედ საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებს, ზოგადად. რის გამოც კომისიამ არ დაუჭირა მხარი შემოთავაზებული კანონის მიღებას.[9]

3.1. "სისტემური" მიდგომა საქართველოში

მიუხედავად იმისა, რომ ვენეციის კომისიის მყარი პოზიციით, თითოეულმა სახელმწიფომ, არსებული კონტექსტის სრული გააზრებით, თავად უნდა აირჩიოს "სისტემური" მიდგომის თავისებურებები, დასკვნაში მიმოხილულია ქართული კონტექსტი, "სისტემის" პრობლემები და ერთგვარი საორიენტაციო მიმართულებები, საქართველოსთვის. უპირველეს ყოვლისა, ამგვარი "სისტემის" შემუშავებისა და ეფექტური იმპლემენტაციის მიზნებისთვის გააზრებული უნდა იქნეს არსებული სამართლებრივი მექანიზმების არაეფექტურობის მიზეზები, რატომ ვერ პასუხობენ ისინი ადეკვატურად "ოლიგარქიული" გავლენების პრობლემას, ამავდროულად გაძლიერდეს სხვადასხვა ინსტიტუტების ეფექტურობა, დამოუკიდებლობა და მათ შორის კოორდინაციის მექანიზმები.

ამგვარი "სისტემის" ეფექტურად ფუნქციონირებისთვის, კომისიის მოსაზრებით კრიტიკულად აუცილებელია სიღრმისეული, ყოვლისმომცველი და შეუქცევადი/ინტენსიური (relentless) რეფორმები სასამართლო ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების სისტემის, ასევე დემოკრატიული ინსტიტუტების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და შესაბამისი საკანონმდებლო მექანიზმების გასაძლიერებლად.

სანიმუშოდ, ვენეციის კომისია საქართველოს ხელისუფლებას სთავაზობს შემდგომი ნაბიჯების გადადგმას:

[8] იქვე, 22
[9] იქვე, 23.

- ჩამოყალიბდეს ეფექტური კონკურენციის პოლიტიკა ევროკავშირის რეგულაციების შესაბამისად;
- გაძლიერდეს მაღალი დონის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, GRECO-ს რეკომენდაციების შესაბამისად. ამავე კონტექსტში, ვენეციის კომისია დადებით ნაბიჯად მიიჩნევს ანტიკორუფციული ბიუროს შექმნას, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ მისი პოლიტიკური და ფუნქციური დამოუკიდებლობა უნდა იყოს სრულად გარანტირებული;
- გაძლიერდეს სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულება ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად;
- ხელი შეეწყოს მედიის პლურალიზმსა და მედიის მფლობელობის გამჭვირვალობას;
- გატარდეს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ზომები, შემუშავდეს და განხორციელდეს ეფექტური პოლიტიკა MONEYVAL-ისა და FATF-ის რეკომენდაციების შესაბამისად;
- გატარდეს რეფორმა პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების დაფინანსების წესებთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს პოლიტიკური სივრცის გათანაბრებას;
- გატარდეს საგადასახადო კანონმდებლობის რეფორმა და თავიდან იქნეს აცილებული "ოლიგარქების" მიერ საგადასახადო "ხვრელებითა" და ბენეფიტებით სარგებლობის შესაძლებლობა.

ვენეციის კომისია ასევე აღნიშნავს, რომ ეს რეფორმები უნდა გატარდეს "ოლიგარქიზაციასთან" ბრძოლის "სისტემური" მიდგომის კონტექსტში, რაც საჭიროებს როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ დონეზე ეფექტურ კოორდინაციას და სახელმწიფო ხელისუფლების სისტემურ ძალისხმევას.

3.2. ვენეციის კომისიის მოსაზრებით, მისი პირველი დასკვნის შემდგომ საქართველოს არაფერი გაუკეთებია მასში იდენტიფიცირებული მთავარი ნაკლის გამოსასწორებლად.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა ვენეციის კომისიის 2023 წლის 13 მარტის შუალედური დასკვნის შემდგომ გარკვეული ცვლილებები შეიტანა კანონში, მთავარი პრობლემა, რაც დაკავშირებული იყო არათანასწორ და პოლიტიკურად მოტივირებულ აღსრულებასთან დაკავშირებით, ვერ აღმოიფხვრა.[10] ამ ფორმით შემოთავაზებული კანონი არა მხოლოდ არაეფექტურია "ოლიგარქ(ებ)ის" გავლენების

[10] იქვე, 41.

შემცირების გზაზე, არამედ საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ სისტემასა და პოლიტიკურ პლურალიზმს საქართველოში, რაც კიდევ ერთხელ დასტურდება პოლიტიკური პოლარიზაციის მაღალი დონით და "საჯარო განცხადებებით, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ კანონი, მიღების შემდგომ, გამოყენებული იქნება პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ".[11]

ამის გათვალისწინებით, ვენეციის კომისიამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველოში "დეოლიგარქიზაცია" შეიძლება მიღწეული იქნეს მხოლოდ კარგად გააზრებული და ეფექტური "სისტემის" შემუშავების გზით, ნაცვლად შემოთავაზებული კანონისა.[12]

მთავარი პრობლემა, რასაც ვენეციის კომისია ხედავს საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებში არის ის, რომ მან არ გაიაზრა ქვეყანაში არსებული კონტექსტი, სახელმწიფო ინსტიტუტების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული პრობლემები და აირჩია "პერსონალური" მიდგომა, რომელიც ეფექტური შეიძლება იყოს მხოლოდ როგორც შემავსებელი, უკიდურესი მექანიზმი ისიც იმ პირობებში, როდესაც ინსტიტუციური გარანტიები უზრუნველყოფილია. "ოლიგარქიული" გავლენების კომპლექსურობიდან გამომდინარე თითოეულმა სახელმწიფომ სპეციფიკურად მისთვის დამახასიათებელი ისტორიული, სამართლებრივი და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით უნდა აირჩიოს პრობლემასთან ბრძოლის სათანადო მიდგომა. საქართველოს კონტექსტი კი უკრაინისგან და მოლდოვასგან განსხვავებით "ძალიან განსხვავებულია", რის გამოც მიღებული ზომების ფარგლები და მასშტაბები, შესაბამისად განსხვავებული უნდა იყოს.[13]

საქართველოს ხელისუფლებამ "ოლიგარქიზაციასთან" ბრძოლის გზად აირჩია უკრაინული კანონის პირდაპირი გადმოტანა და არ გაითვალისწინა საქართველოს წინაშე მდგარი სპეციფიკური პრობლემები, სადაც "ოლიგარქიულ გავლენებს, შეიძლება ითქვას, მყარად აქვს ფესვები გადგმული და წარმოადგენს დაბრკოლებას სახელმწიფო ინსტიტუტების დემოკრატიული ფუნქციონირებისთვის".[14] აღნიშნულის გათვალისწინებით, ვენეციის კომისიის მიერ დადგენილი სტანდარტი, რომ "პერსონალურმა" მიდგომამ წარმოუდგენელია იმუშაოს იმ პირობებში, როდესაც თავად აღმასრულებელი და სასამართლო სისტემა "ოლიგარქიული" გავლენის ქვეშაა,[15] რელევანტურია საქართველოსთან მიმართებითაც.

გამომდინარე აქედან, ვენეციის კომისიამ მკაფიოდ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, რომ დღეს არსებული მდგომარეობით "დეოლიგარქიზაცია" ვერ იქნება

[11] იქვე, 41.
[12] იქვე, 42.
[13] იქვე, 16.
[14] იქვე, 18.
[15] იქვე, 22.

მიღწეული "სისტემური" რეფორმების გარეშე, სადაც გააზრებული იქნება სახელმწიფო ინსტიტუტების დამოუკიდებლობის პრობლემა და გადაიდგმება საფუძვლიანი და კოორდინირებული ნაბიჯები მის გადასაჭრელად. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემოთავაზებული კანონის მიღება არა მხოლოდ არაეფექტური იქნება პრობლემის გადაჭრის გზაზე, არამედ მნიშვნელოვნად შეაფერხებს საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას.

4. ვენეციის კომისიის შეფასება უკრაინისა და მოლდოვას კანონებზე

ვენეციის კომისიამ 2023 წლის 13 ივნისს აგრეთვე გამოაქვეყნა საბოლოო დასკვნები "დეოლიგარქიზაციის შესახებ" უკრაინისა[16] და მოლდოვას[17] კანონებთან დაკავშირებით.

უკრაინასთან მიმართებით, ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ "ოლიგარქიული" გავლენების დასაძლევად უკრაინამ მრავალსექტორული, „სისტემური" მიდგომის ნაცვლად, აირჩია „პერსონალური მიდგომა". დასკვნის თანხმად, უკრაინის კანონი „ოლიგარქების შესახებ" ვერ ჩაითვლება ოლიგარქიზაციის პრობლემაზე დემოკრატიულ პასუხად. კანონი არ არის თავსებადი პოლიტიკური პლურალიზმისა და კანონის უზენაესობის პრინციპებთან, რამდენადაც მას აქვს პოტენციალი, ბოროტად იქნას გამოყენებული პოლიტიკური მიზნებისთვის. კომისია პირდაპირ უთითებს, რომ თუ „პერსონალური მიდგომის" ბირთვი იგივე დარჩება, კანონში შესული არსებითი ცვლილებებიც კი ვერ აღმოფხვრის გარდაუვალ წინააღმდეგობას ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სტანდარტებთან.

ვენეციის კომისია ერთმნიშვნელოვნად უწევს რეკომენდაციას „სისტემური" მიდგომის გატარებასა და, როგორც მინიმუმ, კანონის ამ ფორმით აღსრულების შეჩერებას. ასევე, ხაზს უსვამს, რომ ზემოაღნიშნული სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისთვის, ევროპული სტანდარტების შესაბამისი სასამართლო რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს მის დამოუკიდებლობას, სამართლიანობასა და მიუკერძოებლობას, დაუყოვნებლივ და საფუძვლიანად უნდა განხორციელდეს.

რაც შეეხება მოლდოვას, კომისიამ დადებითად შეაფასა მოლდოვას გადაწყვეტილება კანონის მიღებაზე უარის თქმისა და "სისტემური" მიდგომის არჩევის შესახებ.

[16] Ukraine - Opinion on the Law on the prevention of threats to national security, associated with excessive influence of persons having significant economic or political weight in public life (oligarchs), adopted by the Venice Commission at its 135th Plenary Session (Venice, 9-10 June 2023), CDL-AD(2023)018.

[17] Republic of Moldova - Final Opinion on limiting excessive economic and political influence in public life (de-oligarchisation), adopted by the Venice Commission at its 135th Plenary Session (Venice, 9-10 June 2023), CDL-AD(2023)019.

მოლდოვამ წარადგინა სამოქმედო გეგმა,[18] რომელიც მიზნად ისახავს დარგობრივი ანალიზის, საკანონდონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოების კონსოლიდაციასა და სახელმწიფო ინსტიტუტების ანგარიშვალდებულების გაზრდას. აგრეთვე მთელ რიგ სფეროებში რეფორმების გატარებას (ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა, მონოპოლიის შემზღუდველი ღონისძიებები, ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობა, პოლიტიკური პარტიის დაფინანსების საკითხები და სხვ.). სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს მონიტორინგის მექანიზმის დანერგვას სხვადასხვა უწყებების კომუნიკაციისა და კოორდინაციის უზრუნველსაყოფად.

ვენეციის კომისიამ დადებითად შეაფასა მოლდოვას მიერ არჩეული "სისტემური" მიდგომა და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მისი ეფექტურობისთვის აუცილებელია სასამართლო რეფორმის დაუყოვნებლივ და საფუძვლიანი განხორციელება.

5. დასკვნა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციები საქართველოს.

ვენეციის კომისიის მსჯელობებიდან გამომდინარე, ნათელია რომ „დეოლიგარქიზაციის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც შემუშავებულ იქნა 12 პუნქტის ფარგლებში ვერ პასუხობს „ოლიგარქიული" გავლენების რეალურ გამოწვევებს. **ირიბად, ვენეციის კომისია პარადოქსულს უწოდებს საქართველოს მიერ შემუშავებულ დეოლიგარქიზაციის კანონის პროექტს, ვინაიდან ამ კანონის (მიუკერძოებლად) აღსრულება მოეთხოვებათ ინსტიტუტებს, რომლებშიც, როგორც ჩანს ("it seems"), ოლიგარქიულ გავლენებს აქვს ფესვები გადგმული.**

ვენეციის კომისიის რეკომენდაციაა, საქართველომ უარი თქვას „დეოლიგარქიზაციის" კანონის შემუშავებულ ვერსიაზე და გაატაროს სიღრმისეული, ყოვლისმომცველი და შეუქცევადი/ინტენსიური (relentless) რეფორმები სასამართლო ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების სისტემის, ასევე დემოკრატიული ინსტიტუტების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და შესაბამისი საკანონმდებლო მექანიზმების გასაძლიერებლად.

სისტემური რეფორმების კონტექსტში, ვენეციის კომისია საქართველოს რეკომენდაციას უწევს:

- გააკეთოს არსებული სისტემური ღონისძიებების სიღრმისეული და ყოვლისმომცველი ანალიზი, მათი ნაკლოვანებები სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და კოორდინაციის თვალსაზრისით;

[18] CDL-REF(2023)026-e Republic of Moldova - Plan of measures to limit the excessive influence of private interests on economic, political and public life (deoligarization)

- შეიმუშაოს მაკორექტირებელი, დამატებითი ან შემავსებელი კანონმდებლობა ან ზომები, რომლებიც, inter alia, მოიცავს: ეფექტური კონკურენციის პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებას, მაღალი დონის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებასა და პრევენციას, GRECO-ს რეკომენდაციების შესაბამისად; სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მხარდაჭერას; მედიის პლურალიზმისა და მედიის მფლობელობის გამჭვირვალობის გაძლიერებას; ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკის შემდგომ გაძლიერებას, მათ შორის, MONEYVAL-ისა და FATF-ის რეკომენდაციების შესაბამისად; ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციაზე დროულ და ეფექტურ ხელმისაწვდომობას; სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობას; პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების დაფინანსების წესებისა და არსებული კონტროლის მექანიზმების განმტკიცებას; საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებას ოლიგარქიული გავლენის მქონე პირების მიერ გადასახადებისგან თავის არიდების კონტექსტში;
- უზრუნველყოს ძირითადი მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ორგანოების დამოუკიდებლობისა და ეფექტურობის გაძლიერება;
- შეაფასოს, თუ როგორ შეუძლია სხვადასხვა ინსტიტუტებს (ანტიკორუფციულ ორგანოებს, ანტიმონოპოლიურ და სახელმწიფო აუდიტის სამსახურებს, საბანკო ზედამხედველობის ორგანოებსა და ა. შ.) უკეთესად იმუშაონ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე „ოლიგარქ(ებ)ის“ გავლენის აღმოფხვრისა და თავიდან აცილების მიზნით;
- გააკეთოს გატარებული ღონისძიებების ზემოქმედების რეგულარული შეფასება;
- დანერგოს ყოვლისმომცველი სისტემა ოლიგარქიულ გავლენასთან საბრძოლველად და შეიმუშაოს შესაბამისი სტრატეგია/სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვას სფეროებსა და ინსტიტუციებს კოორდინირებულ მოქმედებას;
- ყოველივეს განხორციელება უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ, გამჭვირვალედ და ანგარიშვალდებულად.

დასკვნიდან გამომდინარეობს, რომ საქართველო შეიძლება დაუბრუნდეს „დეოლიგარქიზაციის“ კანონის შემუშავებას იმ პირობებში, როდესაც უზრუნველყოფილი იქნება ინსტიტუტების დამოუკიდებლობა და კანონი შესაბამისი იქნება იმ დროისთვის არსებულ სპეციფიკურ გამოწვევებთან, რომელთა გადაწყვეტა „სისტემური“ მიდგომის გამოყენებით ვერ მოხერხდება.

ვენეციის კომისიის ამ დასკვნით მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმირების საჭიროება მათი რეალური დამოუკიდებლობის, ეფექტურობის, კოორდინაციისა და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით, ვინაიდან

ევროკავშირის მიერ განსაზღვრული დეოლიგაქიზაციის პრიორიტეტის აღსრულება ამ რეფორმებით მოხდება.

6. სამოქალაქო საზოგადოების ხედვა „დეოლიგარქიზაციასთან“ დაკავშირებით და კანონპროექტის შემუშავების პროცესში ჩართულობა

სამოქალაქო სექტორი იმთავითვე მიუთითებდა, რომ სპეციალური კანონის მიღების ნაცვლად, სახელმწიფოს მთელი ძალისხმევა უნდა მიემართა დარჩენილი 11 რეკომენდაციის ხარისხიანად შესრულებაზე, განსაკუთრებით მართლმსაჯულების, ანტიკორუფციული სააგენტოს/ბიუროს ეფექტურობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.[19] ევროკავშირის მე-5 რეკომენდაციის აღსრულების გზად მმართველმა პარტიამ თავიდანვე დაისახა უკრაინის მსგავსად სპეციალური კანონის მიღება.[20] საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან 2022 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც უნდა მოემზადებინა შესაბამის კანონპროექტი. სამუშაო ჯგუფში გათვალისწინებული იყო 2 ადგილი სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენლებისთვის თუმცა, ჩვენთვის უცნობია, რომელ სამოქალაქო ორგანიზაციას მიეცა ამ ჯგუფში ჩართვის შესაძლებლობა. თუმცა, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმებიდან[21] ირკვევა, რომ პროცესი მიმდინარეობდა სამოქალაქო სექტორის ჩართულობის გარეშე.

IDFI კანონპროექტის განხილვის პროცესში აქტიურად ჩაერთო საკომიტეტო განხილვების მომენტიდან. ამ საკითხზე, წამყვან - იურიდულ საკითხთა კომიტეტს გავაცანით ჩვენი ხედვა კანონპროექტის ნაკლოვანებებზე და მისი მორგების აუცილებლობაზე საქართველოში არსებულ გამოწვევებთან, ასევე ვენეციის კომისიისთვის გადაგზავნისა და მისი დასკვნების გათვალისწინების აუცილებლობაზე.[22] აგრეთვე, მოვამზადეთ ვენეციის კომისიის შუალედური დასკვნის ანალიზი.[23]

---

[19] 12 ნაბიჯი ევროკავშირის კანდიდატობისთვის.

[20] მმართველი პარტიის გეგმა

[21] იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა „დეოლიგარქიზაცია“ სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N1 2022 წლის 4 აგვისტო
იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა „დეოლიგარქიზაცია“ სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N2 2022 წლის 3 ოქტომბერი

[22] საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომა, 11, ნოემბერი 2022 წელი. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენლის მოსაზრება „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონის პროექტის ვენეციის კომისიისთვის გაგზავნისა და კონტექსტის შეფასების საჭიროებაზე. https://youtu.be/KW-rPk48MB4?t=7168

[23] „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონი: ვენეციის კომისიის დასკვნის ანალიზი

სამწუხაროდ, მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ არ გაითვალისწინა სამოქალაქო საზოგადოების სისტემური ხედვა "დეოლიგარქიზაციის" პრიორიტეტის აღსრულებასთან დაკავშირებით.

7. ვენეციის კომისიის დასკვნის აღსრულების პერსპექტივა

საპარლამენტო უმრავლესობამ არ გაითვალისწინა არა მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების სისტემური ხედვა "დეოლიგარქიზაციის" პრიორიტეტის აღსრულებასთან დაკავშირებით, არამედ, როგორც ირკვევა, იგი არც ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნის გაზიარებას გეგმავს. კერძოდ, მმართველმა პარტიამ ვენეციის კომისიის კრიტიკული დასკვნის მიუხედავად მეორე მოსმენით დაუჭირა მხარი "დეოლიგარქიზაციის შესახებ" კანონს.[24]

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია გამოვეხმაუროთ, მმართველი პარტიის პოზიციას, რომლის თანახმადაც ევროკომისიის პრიორიტეტული ამოცანები და ვენეციის კომისიის დასკვნა ერთმანეთთან წინააღმდეგობრივია და ითხოვენ ევროკავშირისგან დეოლიგარქიზაციის პრიორიტეტის ამოღებას.[25] ეს პოზიცია არ შეესაბამება სინამდვილეს და მანიპულაციურია. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისიის ცხადი პოზიციაა დეოლიგარქიზაციის პროცესის წარმართვა ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად. აღნიშნული აშკარად გამომდინარეობს უკრაინისთვის მიცემული პრიორიტეტული ამოცანიდან, რომლის მიხედვით, უკრაინამ დეოლიგარქიზაცია უნდა განახორციელოს ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად.[26] ევროკომისიის მიერ გამოყენებული ენა- "legally sound manner" ცალსახად მიუთითებს მის ფრთხილ დამოკიდებულებას კანონის მიმართ.

მეტიც, კანონპროექტის ვენეციის კომისიისთვის გადაგზავნის შესახებ განაცხადა[27] აგრეთვე ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა, ოლივერ ვარჰეიმაც. მისი თქმით კომისიის დასკვნა დაადგენს, რამდენად მიიყვანს ქვეყანას ეს იურიდიული ინსტრუმენტი ევროკავშირის მიერ

---

[24] პარლამენტმა "დეოლიგარქიზაციის შესახებ" კანონპროექტი მეორე მოსმენით მიიღო

[25] კობახიძე: ევროკომისია როგორც კი ამოიღებს ჩანაწერს დეოლიგარქიზაციაზე, გავაუქმებთ მიღებულ კანონს.
ანრი ოხანაშვილი - ჩვენ სწორებას ევროკომისიის გადაწყვეტილებაზე ვაკეთებთ, სასპეკულაციო სივრცე რომ არ დარჩეს, მიზანშეწონილია "დეოლიგარქიზაციის შესახებ" კანონი მივიღოთ - გვაქვს მოცემულობა, ორ ევროპულ სტრუქტურას შორის კოლიზიის.

[26] "მიღებული კანონის იმპლემენტაცია უნდა მოხდეს სამართლებრივი პრინციპების სრული დაცვით და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით." (implement the Anti-Oligarch law to limit the excessive influence of oligarchs in economic, political, and public life; this should be done in a legally sound manner, taking into account the forthcoming opinion of the Venice Commission on the relevant legislation;).
Commission Opinion on Ukraine's application for membership of the European Union

[27] ვარჰეი: ვთავაზობთ მთავრობას, დეოლიგარქიზაციის კანონი ვენეციის კომისიაზე გაიტანოს

დადგენილი რეკომენდაციის შესრულებასთან. აგრეთვე, ამასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი[28] გააკეთა ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში: "კვლავ ვიმეორებთ ჩვენს მტკიცე მოსაზრებას, რომ ამ კანონის მიღებამდე უნდა იყოს მოთხოვნილი და შესრულებული ვენეციის კომისიის დასკვნა." ევროკავშირის პოზიციას დაეთანხმა აშშ-ს ელჩიც და განაცხადა,[29] რომ "ეს არის საუკეთესო გზა იმის გასაგებად, რომ ქართული კანონმდებლობა საქართველოში არსებულ სიტუაციას ითვალისწინებს."

ნათელია რომ ევროკავშირი ითხოვს "დეოლიგარქიზაციის" პროცესის განხორციელებას ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად. ვენეციის კომისიის დასკვნასა და ევროკომისიის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს შორის არამცთუ არ არის წინააღმდეგობა, არამედ ეს ორი ავსებს ერთმანეთს და მნიშვნელოვან სახელმძღვანელო ინსტრუქციას წარმოადგენს საქართველოსთვის. აღნიშნულზე მიუთითებს, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის 14 ივნისის განცხადება.[30]

აქედან გამომდინარე, **კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ მმართველი პარტიამ უარი თქვას პოლიტიკურ მანიპულაციებზე და, მოლდოვას მსგავსად, "დეოლიგარქიზაციის" სიტემური მეთოდით გადაწყვეტის გზებზე დაიწყოს მუშაობა. ვენეციის კომისიის დასკვნის გაუთვალისწინებლობა და "დეოლიგარქიზაციის შესახებ" კანონის არსებული ფორმით მიღება ნეგატიურად იმოქმედებს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესზე.**

[28] კომენტარი „დეოლიგარქიზაციის" კანონპროექტთან დაკავშირებით

[29] კელი დეგნანი - აშშ ეთანხმება ევროკავშირის მტკიცე რჩევას, რომ „დეოლიგარქიზაციის შესახებ" კანონპროექტი ვენეციის კომისიაში გადაიგზავნოს

[30] საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის 14 ივნისის განცხადება https://www.facebook.com/photo?fbid=570872708560238&set=a.229027029411476